# ხელშეკრულება №5

ქ. გურჯაანი 11.03.2015წ

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით, 'სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით.

## 1. ხელშეკრულების მხარეები:

1.1. ერთის მხრივ ა.ა.ი.პ "გურჯაანის მინიციპალური კ/ცენტრი", მისი დირექტორი ვალერი მღებრიშვილი ,შემდგომში "შემსყიდველი", მეორეს მხრივ, ი/მ ნანა ბოსტოღანაშვილი, შემდგომში "მიმწოდებელი", ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 2. ხელშეკრულების საგანი:

2.1. ავეჯით მომსახურება კერძოდ( რკინის ხელოვნურტყავიანი ნახევრად რბილი 40ცალი სკამის შესყიდვა)CPV 39100000.

## 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

3.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია შეთანხმებულ ვადებისა და პირობების გათვალისწინებით უზრუნველყოს ხელშეკრულების საგანში მითითებული ხარისხიანი საქონლის მიწოდება.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია მოწოდებული დეფექტური საქონლის ხარვეზები აღმოიფხვრას საგარანტიო ვადაში საკუთარი სახსრებით.

3.3. "შემსყიდველი" ვალდებულია აანაზრაუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

## 4. სახელშეკრულებო ფასი და ანგარიშსწორების ფორმა

4.1. სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 920(ცხრაას ოც) ლარს.

4.2. ანგარისსწორება "მიმწოდებელთან" განხორციელდება ლარებში, ფაქტიურად გაწეული მომსახურებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად:

4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საბანკო ანგარიშზე უნაღდო (ნაღდი) ანგარიშსწორების ფორმით.

## 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 11.03.2015წ-დან 31.12.2015წ-მდე.

5.2. ხელშეკრულება წყდება: სახელშეკრულებო ვადის დამთავრების: სასამართლოს მიერ ხელშეკრულების გაუქმებლად ცნობის დროს.

## 6. საგარანტიო ვადა

6.1. მოწოდებული სკამების შეცვლის საგარანტიო ვადა მინიმუმ 1თვე შესყიდვის დღიდან გათვალისწინებით.

## 7. ფორს-მაჟორი:

7.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ განიხილება, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად ან დარღვევად.

## 8. დავების გადაწყვეტის წესი:

8.1. ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირ, არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარებენ ნებისმიერ უთანხმოებასა და დავას, რომელიც მათ შორის შესაძლებელია წარმოიშვას ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ:

8.2. თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხებზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

## 9. დამატებითი პირობები:

9.1. ხელშეკრულების არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები:

9.2. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლოსთვის მიმართვის ან ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ასეთი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მეორე მხარეს უნდა ეცნობოს აღნიშნულის თაობაზე, მისი მიღების საფუძვლის ამოქმედების თარიღის მითითებით.

9.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაფორმებულია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

9.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

## 10. მხარეთა რეკვიზიტები:

10.1. "შემსყიდველი"

ა.ა.ი.პ. გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი მის: ქ. გურჯაანი თამარ მეფის №16 ტელ: 593-315-213 ს/კ 227767841 ს.ს. ლიბერთი ბანკის გურჯაანის ფილიალი ანგ№GE81LB0115122362241000 ბანკის კოდი LBRTGE22

კ/ცენტრის დირექტორი: /ვ. მღებრიშვილი/

**10.2.**"მიმწოდებელი"

ი/მ ნანა ბოსტოღანაშვილი პირადობის №13001038153 ტელ№ 0790-12-13-12

მის: ქ. გურჯაანი ს.ს. პრივატბანკის გურჯაანის ფილიალი

ბანკის კოდი GAVOGE22ანგ№ GE52TP0036010020010748

ი/მ: ნ. /ნ. ბოსტოღანაშვილი/